საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ერმანის ქედი

ერმანის ქედი, ქედი ჯავის მუნიციპალიტეტში, გერმუხის ქედის ჩრდ.-აღმ. მონაკვეთი, მწვერვალებს მანგაავცაგსა და ქნოღოს შორის, მდინარეების პატარა ლიახვისა და ერმანისწყლის (ლიახვის მარცხ. მდგენელი) წყალგამყოფი. აგებულია ზედაიურული კირქვებით, მერგელებითა და მერგელიანი ფიქლებით. ე. ქ-ის კალთაზე შემორჩენილია მეოთხეული გამყინვარების ნიშნები: ცირკები, ტროგები და მორენები. კალთები და თხემი შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით.

ს. ნემანიშვილი